მშრომელთანარბიო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 28 აგვისტო, 1945 წ. № 171 (7386). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

დიდმნიშვნელოვანი ეტაპი საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის განვითარებაში. „პრავდის“ 27 აგვისტოს მოწინავე (1-ლი გვერდი).

ი. ბ. სტალინისა მიიღო ბ-ნი ჰარიმანი (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 26 და 27 აგვისტოს ოპერატიული ცნობები (1-ლი გვერდი).

საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის რესპუბლიკის შორის მეგობრობისა და კავშირის ხელშეკრულების და შეთანხმებათა რატიფიკაციის გამო (1-ლი, მე-2 და მე-3 გვერდები).

ო. ტატიშვილი — ბოლშევიკური პროპაგანდის კერა (მე-3 გვერდი).

ტაბაქინტის გზა (მე-3 გვერდი).

პატარა ფელეტონი — იყო ვინმე... ნაპოლეონი (მე-4 გვერდი).

უცხოელთის ამბები. დეპეშები (მე-4 გვერდი).

დიდმნიშვნელოვანი ეტაპი საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის განვითარებაში

მოლაპარაკების შედეგად, რომელიც მოსკოვში სწარმოებდა, ერთი მხრივ, სსრ კავშირის სახალო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მ. მოლოტოვსა და, მეორე მხრივ, ჩინეთის პრემიერ-მინისტრ სუნ ფო-ვენისა და ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ვან ში-ძის შორის, ამა წლის 14 აგვისტოს ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულება სსრ კავშირისა და ჩინეთის რესპუბლიკის მეგობრობისა და მოკავშირეობის შესახებ. ამავე დროს ხელმოწერილი იქნა მეოცე რიგი სხვა შეთანხმებანი, საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის საკითხებზე.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ხელშეკრულება მეგობრობისა და მოკავშირეობის შესახებ და სსრ კავშირისა და ჩინეთის სხვა შეთანხმებანი, რომლებიც ხელმოწერილია 14 აგვისტოს, დადებულია ღირსშესანიშნავ დღეებში. იაპონის იმპერიალიზმი განადგურებულია და იძულებული უსიტყვო კაპიტულაცია მოახდინოს. აგრესიის კერა შორეულ აღმოსავლეთში ლიკვიდირებულია დიდი მოკავშირეების ოფიციალურებით, რომლებშიც თავიანთი დიდი წვლილი შეიტანეს როგორც სსრ კავშირმა, ისე ჩინეთმა.

საბჭოთა კავშირი და ჩინეთი ერთ ბანაკში იყვნენ დასავლთისა და აღმოსავლეთის აგრესორთა ბლოკის წინააღმდეგ დიდი განმათავისუფლებელი ომის დროს. წითელმა არმიამ იაპონის ჯარების გამანადგურებელი ლაბვირი ჩაუცა, რის შემდეგაც იაპონიის ვარაუდი მოკავშირეებისათვის წინააღმდეგობის გაწევისა საბოლოოდ ჩაიფუშა. წითელმა არმიამ ძლევამოსილი შეტევით გათავისუფლა მანჯურია, რომელიც იაპონელმა დამპყრობლებმა ჩინეთის მოსწყვიტეს და ჩინეთისა და სსრ კავშირის წინააღმდეგ შეტევის პლაცდარმად გადაქციეს.

ყველა ამ მოვლენას ისტორიული მნიშვნელობა აქვს როგორც სსრ კავშირისათვის, ისე ჩინეთისათვის, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის. საბჭოთა სახელმწიფო მსოფლიოში პირველი ფიფი სახელმწიფო იყო, რომელმაც ჩინეთთან თავის ურთიერთობას საფუძველად დაუდო თანასწორუფლებიანობისა და ჩინელი ხალხის სუვერენულ უფლებათა პატივისცემის პრინციპები. უკვე თავის 1919-1920 წლებს დეკლარაციებში საბჭოთა მთავრობამ ძალდაკარგულად გამოაცხადა ჩინეთის სუვერენულ უფლებათა და ინტერესთა შეშფოთებული ყველა ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი, რომლებიც დადებულ იყო ყოფილი მეფის მთავრობის მიერ როგორც ჩინეთთან, ისე, მესამე კვეყნებთან.

საბჭოთა მთავრობის მიერ ჩინეთის მიმართ დაკავებული პოზიცია ღირსეულად შეაფასა ჩინელმა ხალხმა, რომელსაც საბჭოთა კავშირი მუდამ ერთგულ და უანგარო მეგობრად მიაჩნდა. საყოველთაოდ ცნობილია, რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობას ჩინელი ხალხის დიდი მეცადინე, ჩინეთის რესპუბლიკის დამაარსებელი და პირველი პრეზიდენტი სუნ იატ-სენი. რომელიც თავის სიკვდილისწინა მიმართვაში სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტისადმი სწერდა: „მე მტკიცედ დარწმუნებული ვარ, რომ ეს შეწყდება დახმარება, რომელსაც თქვენ დღემდე უწევდით ჩემს ქვეყანას“.

ამჟამად, იაპონელი აგრესორის განადგურების ფაქტთან ერთად, ჩინეთ-სსრ კავშირ-ჩინეთის ურთიერთობათა ისტორიაში ამის შესახებ, რომ „დადგება დღე, როცა სსრ კავშირი ძლიერსა და თავისუფალ ჩინეთში მიესალმება მეგობარსა და მოკავშირეს და, რომ მსოფლიოს ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებისათვის დიად ბრძოლაში ორივე მოკავშირე ხელიხელაკიდებული გასწევს გამარჯვებისაკენ“.

საბჭოთა ხალხმა მთელი წლების მანძილზე ერთგულად დაიცვა მეგობრობა ჩინელი ხალხისადმი. მან ეს საქმით დაამტკიცა ჩინეთისათვის უძმეზეს ღღეებში, როცა ჩინელ ხალხს თავს დაესხა იაპონელი აგრესორი. საბჭოთა კავშირმა საქმით დაამტკიცა თავისი პატიოსანი ცხოვრება სხვა ხალხის სუვერენული უფლებებისა და ნაციონალური ღირსებისადმი. საბჭოთა კავშირი ამ-ქანადაც მტკიცე ერთგულია ამ პოლიტიკისა.

გამოქვეყნებულ დოკუმენტთა შორის პირველი ადგილი უკავია ხელშეკრულებას სსრ კავშირისა და ჩინეთის შეგობრობისა და მოკავშირეობის შესახებ. მისი ძირითადი მიზანია ორ ქვეყანას შორის მუდამ არსებული მეგობრული ურთიერთობა განამტკიცოს მოკავშირეობით და ომისშემდგომი ფართო თანაშრომლობით, რაც მთავარ მიზნად ისახავს შეუძლებელი გახადოს იაპონის აგრესიის აღორძინება. ხელშეკრულება ითვალისწინებს ორივე მხარის მიერ მათ განკარგულებაში არსებულ ყველა ღონისძიებათა მიღებას იმისათვის, რომ „შეუძლებელი გახადონ იაპონის მიერ აგრესიის გამეორება და მშვიდობიანობის დარღვევა“. თუ ერთი მხარე საომარ მოქმედებაში ჩაერთვები აღმოჩნდება იაპონის მხრივ აგრესიის შედეგად, მეორე მხარე ვალდებულია თავის მოკავშირეს გაუწიოს სამხედრო და ყოველგვარი სხვა დახმარება. ხელშეკრულება შეუძლებელს ხდის რომელიმე მხარის „მონაწილეობას მეორე მხარის წინააღმდეგ მიმართულ კავშირისან კოალიციაში.

ომისშემდგომი კეთილშობილური თანაშრომლობის პრინციპული საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ ორივე მხარე, ითვალისწინებს რა თავიანთ ეროვნულ ეკონომიურ დახმარებას ეკონომიური განვითარების ინტერესებს, პირობას სდებს მჭიდრო და მეგობრული თანაშრომლობით ომუშაოს მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ და ითმაგდოს ეროვნულის სუვერენიტეტისა, ტერიტორიული მთლიანობისა და ხელშეკრულის დადები მეორე მხარის შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პატივისცემის პრინციპთა შესაბამისად.

ხელშეკრულება უაღრესად ფართო ურთიერთი ეკონომიურ დახმარებას ითვალისწინებს როგორც ორივე ქვეყნის აღდგენის შესაბამებლად და დაჩქარების მიზნით, ისე იმისათვის, რომ წელილი შეიტანონ მთელი მსოფლიოს კეთილდღეობის საქმეში.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი ოდნავადაც არ ეხებიან ორივე მხარის, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრების უფლებებსა და ვალდებულებებს. ხელშეკრულების შინაარსი მთელი სიცხადით მოწმობს, რომ იგი, ხელს უწყობს რა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის განმტკიცებას, წარმოადგენს შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობისათვის, მთელს მსოფლიოში მშვიდობიანობისათვის ბრძოლის ქმედი იარაღს. საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კავშირი მტკიცე ბარიერია იაპონის აგრესიის წინააღმდეგ.

ხელშეკრულების ცხოველმყოფელი ძალა განმტკიცებულია სპეციალური შეთანხმებებით, რომლებიც „ორივე ტოლ ღონისძიებებს ითვალისწინებენ ორივე მხარის უშიშროების განმტკიცებისა და აგრესიის თავიდან აცილების ამოცანების განსახორციელებლად. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს შეთანხმებას პორტ-არტურის შესახებ, რომელიც 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონის ომში მეფის მთავრობის დამარცხების შედეგად დაკარგეთ და ახლა უმნიშვნელოვანესი საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ბაზა ხდება წყნარ ოკეანეში. ამ შეთანხმებით პორტ-არტური გადაიქცევა სამხედრო-საზღვაო ბაზად, რომლის გამოყენებაც შეეძლებათ მხოლოდ ჩინეთისა და სსრ კავშირის სამხედრო ხომალდებსა და საჯარო გემებს. პორტ-არტურის, როგორც სამხედრო საზღვაო ბაზის, ერთობლივი გამოყენება ეძყარება შედეგებს მთავარ ღებულებებს: ბაზის დაცვას ჩინეთის მთავრობა ანდობს სსრ კავშირის მთავრობას, რომელიც ქმნის საჭირო ნაგებობებს და ეწევა ყველა სათანადო ხარჯს; სსრ კავშირის მთავრობას უფლება აქვს პორტ-არტურის რაიონში იყოლიოს სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ძალები, განსაზღვროს მათი დისლოკაცია; სამოქალაქო აღმინისტრაცია ჩინეთს ეკუთვნის; წესდება სამხედრო კომისია ერთობლივ გამოყენების საკითხებზე ჩინეთის ორი და საბჭოთა კავშირის მრავალი წლის მანძილზე შემადგენლობით; კომისიის თავმჯდომარეა საბჭოთა წარმომადგენელი, ეიეე-თავმჯდომარე—ჩინეთთა წარმომადგენელი.

პორტ-არტურის შესახებ შეთანხმებას უზრუველად მიანდეს შეთანხმება დალნის ნავსადგურის შესახებ, რომელიც ცხადდება თავისუფალ ნავსადგურად და ღია იქნება ორივე ქვეყნის ვაჭრობისა და ნაოსნობისათვის. დალნის ნავსადგურის შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს საბჭოთა კავშირისათვის იჯარით გადმოსცემად ნავმისადგომებისა და სასაწყობო შენობათა ნაწილის გამოყოფას ცალკე შეთანხმების საფუძველზე, აწესრიგებს ორივე ქვეყნის ინტერესებს, ეუბნება, რომ მშვიდობიანობის დროს ნავსადგური არ შეიძლ პორტ-არტურის შესახებ შეთანხმებით განსაზღვრულს სამხედრო-საზღვაო ბაზებისა დებულებათა მოქმედების სფეროში, მაგრამ ექვემდებარება ამ ზონაში დაწესებულ სამხედრო რეჟიმს იაპონიასთან ომის შემთხვევაში.

ძალეკამოსილმა წითელმა არმიამ გაარღვია და გაანადგურა იაპონელთა ხანგრძლივი თავდაცვა მანჯურიაში, გათავისუფლა იგი, აიღეთ კვანტუნის არმია კაპიტულაციია მოეხდინა. საომარი მოქმედების შედეგად საბჭოთა ჯარები შეეიჭნენ მანჯურიის, სხვანირად რომ ვთქვათ, „სამი ომომსავლეთი პროვინციის“ ტერიტორიაზე. რომლებსაც საბჭოთა მთავრობა ჩინეთის ნაწილად აღიარებს. ამან საჭირო გახადა შეთანხმება საბჭოთა თავადარაზმლობასა და ჩინეთის ადმინისტრაციას შორის ურთიერთობის შესახებ.

ხელშეკრულების დიდმნიშვნელოვან დამატებას ეკონომიური თანაშრომლობის დარგი წარმოადგენს შეთანხმება ჩინეთის ჩანრნენის რკინიგზის შესახებ. შეთანხმება ითვალისწინებს ჩინეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-მანჯურიის რკინიგზის ერთობლივ ექსპლოატაციას, რომლებიც სამი აღმოსავლეთი პროვინციიდან იაპონელთა განდევნების შედეგ გაერთიანებული იქნებიან ერთ რკინიგზად „ჩინეთის ჩანრ-ნენის რკინიგზის“ სახელწოდებით. ეს გზა სსრ კავშირისა და ჩინეთის რესპუბლიკის საერთო საკუთრება იქნება, ამასთან ზემოაღნიშნული გზის საკუთრების უფლება ორივე მხარეს თანაბრად ეკუთვნის და არ უნდა დაეთმოს მესამე მხარეს, არც საკუთრით არც ნაწილობრივ. გზა მიჩნეულია ჭმიდად კომერციულ საწარმოდ.

მეგობრობისა და მოკავშირეობის ხელშეკრულების და მისი შემსწავლი შეთანხმებების ხელმოწერისას სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვ. მ. მოლოტოვმა და ჩინეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვან ში-ძემ. გასაცვლეს ორი დიდმნიშვნელოვანი ნოტა.

სსკავალური ნოტაში აღნიშნეთა, რომ საბჭოთა მთავრობა თანახმაა ჩინეთის გაუწიოს მორალური მხარდაჭერა და სამხედრო საჭიროებათ და სხვა მატერიალური რესურსებით დახმარება, ამასთან ეს მხარდაჭერა და დახმარება მთლიანად გაეწევა ნაციონალურ მთავრობას, როგორც ჩინეთის ცენტრალურ მთავრობას. ნოტაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საბჭოთა მთავრობა კვლავ აღამტერებს ჩინეთის სუვერენიტეტს სამ აღმოსავლეთ პროვინციაზე (ე. ი. მანჯურიაზე) და სინძიანის ამბებთან დაკავშირებთან აცხადებს, რომ განზრახვა არა აქვს ჩაერიოს ჩინეთის შინაურ საქმეებში.

ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპისადმი პატივისცემის ღირსეულ გამოვლინებას წარმოადგენს ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ვან ში-ძის ნოტა სსრ კავშირის მრავალი წლის ნაკადი მოკავშირის მონოლოლეთის სახალხო რესპუბლიკის შესახებ, რომელიც თავისი ძალიერსა წულელ შეიტანა იაპონელი აგრესორის განადგურების საქმეში. ჩინეთის მთავრობა აცხადებს, რომ მზედგელობაში იღებს მონოლოლეთის ხალხის მიერ არა ერთხელ გამოთქმულ მისწრაფებას დამოუკიდებლობისადმი და სცენის მოწმოლეთის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობას ახლანდელ მის საზღვრებში, თუ ხალხის პლებისციტი დაადასტურებს ამ მისწრაფებას.

საბჭოთა მთავრობამ კმაყოფილებით მიიღო ცნობად ჩინეთის მთავრობის ნოტა და თავის მხრივ განაცხადა, რომ იგი პატივისცემით მოეკიდება მონოლოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ყველა ეს შეთანხმება შეესაბამება მიმდინარე წლის თებერვალში სსრ მოკავშირე სახელმწიფოს ხელმძღვანელთა ყირიმის კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს.

საბჭოთა ხალხი დიდი კმაყოფილებით შეხვდება ჩინეთთან მეგობრობისა და მოკავშირეობის ხელშეკრულებას და საბჭოთა კავშირ-ჩინეთის 14 აგვისტოს შეთანხმებებს. საბჭოთა ხალხი მუდამ დიდი თანაგრძნობითა და სიმპატიით აღიარებდა თვალყურს ჩინელი ხალხის ბრძოლას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. საბჭოთა ხალხი სულითა და გულით დაუჭერს ბრძს საბჭოთა მთავრობის ყველა ღონისძიებას, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის განსამტკიცებლად ორივე ხალხის საკეთილდღეოდ, საყოველთაო შვიდობიანობის საკეთილდღეოდ. სსრ კავშირი და ჩინეთი დაკავშირებული არიან არა მარტო საერთო გეოგრაფიული საზღვრით. მათ აკავშირებს ძირითადი სასიცოცხლო ინტერესების ერთობა. ამ ინტერესების დაცვას უზრუველყოფენ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის 14 აგვისტოს ხელმოწერილი შეთანხმებანი, რომლებიც დიდმნშვნელოვან ეტას ჰქმნიან საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის რესპუბლიკის დიდი ხალხების მეგობრობის განვითარებასა და განმტკიცებაში.

„პრავდის“ 27 აგვისტოს მოწინავე

ი. ბ. სტალინმა მიიღო ბ-ნი ჰარიმანი

27 აგვისტოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ გენერალისიმუსმა ი. ბ. სტალინმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ჭ. ა. ჰარიმანი.

მიღებას დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირსა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და კავშირისა ხელშეკრულების და სსრ კავშირსა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის ჩინეთის ჩანჩურის რკინიგზის, პორტ-არტურისა და ნავსადგურ დალნის თაობაზე შეთანხმებათა რატიფიკაციის შესახებ

რატიფიცირებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი, 1945 წლის 14 აგვისტოს მოსკოვს ხელმოწერილი:

1. ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და კავშირის შესახებ,
2. შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის ჩინეთის ჩანჩურის რკინიგზის შესახებ,
3. შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის პორტ-არტურის შესახებ,
4. შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის ნავსადგურ დალნის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი, 1945 წლის 24 აგვისტო.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

26 აგვისტოს ოპერატიული ცნობა

26 აგვისტოს განმავლობაში შორეულ აღმოსავლეთში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წინსვლას.

შორეული აღმოსავლეთის 1-ლი ფრონტის ჯარებმა კუნძულ სახალინის სამხრეთ ნაწილში დაიკავეს ქალაქი რუზაკა.

შორეული აღმოსავლეთის მე-2 ფრონტის ჯარებმა კამჩატკის სამხრეთით დაიკავეს კუნძულები ოტეკოტანი, სიასიოტანი და მაცუშა კურილის კუნძულების ჯგუფიდან.

25 აგვისტოს ჩვენს ჯარებს ტყვედ დანებდა 35 ათასზე მეტი იაპონელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვედ დანებებულთა შორის არის 6 გენერალი.

იაპონელთა კაპიტულირებული ნაწილებისა და შენაერთების მიღება გრძელდება.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

27 აგვისტოს ოპერატიული ცნობა

27 აგვისტოს შორეულ აღმოსავლეთში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. 26 აგვისტოს ჩვენს ჯარებს ტყვედ დანებდა 30.000-ზე მეტი იაპონელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

იაპონელთა კაპიტულირებული ნაწილებისა და შენაერთების მიღება გრძელდება.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და კავშირის ხელშეკრულების და შეთანხმებათა რატიფიკაციის გამო

30 ივნისიდან 14 ივლისამდე განვლილ პერიოდში და ბერლინის კონფერენციის შემდეგ 7-დან 14 აგვისტომდე მოსკოვში, როგორც საბჭოთა კავშირ-ჩინეთის 14 ივლისისა და 15 აგვისტოს კომუნიკეების უკვე ვიუწყებოდით, მოლაპარაკება სწარმოებდა, ერთი მხრივ, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინსა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მ. მოლოტოვსა და მეორე მხრივ, ჩინეთის რესპუბლიკის აღმასრულებელი იუანის თავმჯდომარე ბ-ნ სუნ ძი-ვენსა და საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ვან ში-ძეს შორის.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ს. ა. ლოზოვსკიმ და სსრ კავშირის ელჩმა ჩინეთში ა. ა. პატერნოვმა. ჩინეთის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს საგარეო საქმეთა ვიეე-მინისტრმა ბ-ნმა ხუ ში-ძემ, ჩინეთის რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში ბ-ნმა ფუ ბინ-ჩანმა და ბ-ნმა ძიან ძინ-ვენმა.

მოლაპარაკება დამთავრდა იმით, რომ 14 აგვისტოს ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და კავშირის ხელშეკრულებას. ამავე დროს ხელმოწერილ იქნა:

შეთანხმება ჩინეთის ჩანჩურის რკინიგზის შესახებ.

შეთანხმება პორტ-არტურის შესახებ.

შეთანხმება ნავსადგურ დალნის შესახებ.

შეთანხმება იაპონის წინააღმდეგ ახლანდელ ერთობლივ ომთან დაკავშირებით ჩინეთის სამი აღმოსავლეთი პროვინციის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ საბჭოთა მთავარსარდლისა და ჩინეთის აღმინისტრაციის ურთიერთობის შესახებ.

გარდა ამისა, მხარეებმა გასცვალეს ორი ნოტა.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საკითხზე;

ჩინეთის ცენტრალური მთავრობისათვის დახმარების აღმოჩენის, მანჯურიაზე ჩინეთის სუვერენიტეტისა და სინძიანში მომხდარი ამბების საკითხებზე.

ხელშეკრულება ხელმოწერილია კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რწმუნებებით საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ვ. მ. მოლოტოვის მიერ და ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რწმუნებებით ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ვან ში-ძის მიერ.

ხელშეკრულებისა და შეთანხმებათა ხელის მოწერას დაესწრო სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინი.

24 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და ჩინეთის რესპუბლიკის საკანონმდებლო იუანმა რატიფიკაცია უყვეს მეგობრობისა და კავშირის ხელშეკრულებას და იმ შეთანხმებებს, რომლებიც ხელმოწერილია 14 აგვისტოს და რომლებიც რატიფიცირებულ უნდა იქნან.

ქვემოთ მოყვანილია ხელშეკრულებისა და შეთანხმებათა ტექსტები.

ხელშეკრულება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და კავშირის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და ჩინეთის რესპუბლიკის ნაციონალური მთავრობის პრეზიდენტმა,

რომელთაც სურთ კავშირისა და ომისშემდგომი კეთილშობილური თანაშრომლობის გზით განამტკიცონ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის მუდამ არსებული მეგობრული ურთიერთობა,

რომელნიც გამსჭვალულნი არიან მტკიცე გადაწყვეტილებით დახმარება გაუწიონ ერთმანეთს ამ მსოფლიო ომში გაერთიანებული ერების მტრების მხრივ აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში და ითანამშრომლონ ერთობლივ ომში იაპონის წინააღმდეგ მის უსიტყვო კაპიტულაციამდე,

რომელნიც გამოხატავენ განუხრელ მისწრაფებას ითანამშრომლონ მშვიდობიანობისა და უშიშროების დამყარების საქმეში ორივე ქვეყნის ხალხებისა და ყველა მშვიდობისმოყვარე ერის საკეთილდღეოდ,

რომელნიც მოქმედებენ ამ პრინციპების მიხედვით, რაც გამოქვეყნებულია გაერთიანებული ერების 1942 წლის 1 იანვრის ერთობლივ დეკლარაციაში, 1943 წლის 30 ოქტომბერს მოსკოვში ხელმოწერილს ოთხი სახელმწიფოს დეკლარაციასა და „გაერთიანებული ერების“ საერთაშორისო ორგანიზაციის წესებებში,

გადაწყვეტენ ამ მიზნით დასდონ ეს ხელშეკრულება და თავიანთი რწმუნებულებად დანიშნეს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა—ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი;

ჩინეთის რესპუბლიკის ნაციონალური მთავრობის პრეზიდენტმა—ვან ში-ძე, ჩინეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი,

რომლებიც, მას შემდეგ, რაც გასცვლეს თავიანთი რწმუნებანი, რანაც აღმოჩნდნენ სათანადო ფორმითა და სრული წესით შედგენილნი, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1.

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ სხვა გაერთიანებულ ერებთან ერთად აწარმოონ ომი იაპონის წინააღმდეგ საბოლოო გამარჯვებამდე. ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ ყოველგვარი საშხედრო და სხვა დახმარება და მხარდაჭერა გაუწიონ ერთმანეთს ამ ომში.

მუხლი 2.

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ არ დაიწყონ იაპონისთან სეპარატული მოლაპარაკება და ურთიერთშეუთანხმებლად არ დასდონ ერთობით ზავი ან საზავო ხელშეკრულება არც იაპონის ახლანდელ მთავრობასთან, არც იაპონიაში შექმნილ სხვა რომელიმე მთავრობასთან ან ხელისუფლების ორგანოსთან, რომლებიც აშკარად არ აიღებენ ხელს ყოველგვარ აგრესიულ განზრახვაზე.

მუხლი 3.

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ვალდებულებას კისრულობენ იაპონის წინააღმდეგ ომის დამთავრების შემდეგ ერთობლივად გამოიყენონ მათს ძალაუფლებაში არსებული ყველა ღონისძიება, რათა შეუძლებელი გახადონ იაპონის მიერ აგრესიის გამეორება და მშვიდობიანობის დარღვევა.

უკეთუ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მაღალი მხარე ჩაბმული აღმოჩნდება საომარ მოქმედებაში იაპონის წინააღმდეგ ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარეს, ეს ეს ... ...

ხელშეკრულება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და კავშირის შესახებ

(დასასრული)

მეორე მხარის საშინაო საქმეებში ჩაერევლობის და ურთიერთპატივისცემის პრინციპების შესაბამისად.

მუხლი 6.

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები შეთანხმდნენ გაუწიონ ერთმანეთს მთელი შესაძლებელი ეკონომიური დახმარება ომის შემდგომ პერიოდში ორივე ქვეყნის აღდგენის გაადვილებისა და დაჩქარების მიზნით, რათა თავიანთი წყლილი შეიტანონ მსოფლიოს კეთილდღეობის საქმეში.

მუხლი 7.

ამ ხელშეკრულებაში არაფერი არ უნდა იქნას განმარტებული ისე, რომ ამან გაავლინა მოახდინოს ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეების, როგორც „გაერთიანებული ერების“ ორგანიზაციის წევრების, უფლებებსა და ვალდებულებებზე.

მუხლი 8.

ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია უნდა მოხდეს რაც შეიძლება მოკლე ვადაში. სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდება რაც შეიძლება მალე ჩინეთში.

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი რატიფიკაციისთანავე და ძალაში რჩება 30 წლის განმავლობაში. თუ ხელშეკრულების დამდებმა არც ერთმა მაღალმა მხარემ ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე არ გააკეთა განცხადება, რომ მას სურს ხელშეკრულების დენონსირება, ხელშეკრულება ძალაში დარჩება განუსაზღვრელი ვადით, ამასთან ხელშეკრულების დამდებ თვითეულ მაღალ მხარეს შეუძლია შესწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება ხელშეკრულების დამდები მეორე მხარისათვის ერთი წლით ადრე შეტყობინების გზით.

რის დასამტკიცებლადაც რწმენებულებმა ხელი მოაწერეს ამ ხელშეკრულებას და მას თავიანთი ბეჭდები დაუსვეს.

შედგენილია მოსკოვს 1945 წლის 14 აგვისტოს, რაც შეესაბამება ჩინეთის რესპუბლიკის 34 წლის 14 აგვისტოს დღეს, ორ ცალად, თვითეული რუსულსა და ჩინურ ენაზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

ჩინეთის რესპუბლიკის
ნაციონალური მთავრობის
პრეზიდენტის რწმენებით
ვან ში-ძე

სსრ კავშირის უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმის
რწმენებით
ვ. მოლოტოვი

შეთანხმება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის ჩინეთის ჩანჩურის რკინიგზის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და ჩინეთის რესპუბლიკა, საერთაშორისო ნაციონალური თავადობის პრეზიდენტი, რომელთაც სურთ განამტკიცონ მეგობრული ურთიერთობა და ეკონომიური კავშირი ორივე ქვეყანას შორის თვითეული მხარის უფლებათა და ინტერესთა სრული დაცვის საფუძველზე, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1.

ჩინეთის სამი აღმოსავლეთი პროვინციიდან იაპონის შეიარაღებული ძალების განდევნის შემდეგ ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინიგზისა და სამხრეთ-მანჯურიის რკინიგზის ძირითადი მაგისტრალები, რომლებიც სადგურ მანჯურიიდან მიდიან სადგურ პოგრანიჩნაიამდე და ხარბინიდან დალინიდე და პორტ-არტურამდე და, რომლებიც ეკერთიანებელი არიან ერთ რკინიგზად „ჩინეთის ჩანჩურის რკინიგზის“ სახელწოდებით, სსრ კავშირისა და ჩინეთის რესპუბლიკის საერთო საკუთრებაში გადავლენ და ამ რკინიგზებს ისინი ერთობლივად გაუწევენ ექსპლოატაციას. საერთო საკუთრებასა და ერთობლივ ექსპლოატაციაში იქნება მხოლოდ ის მიწები და რუსეთისა და საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ერთობლივი მართვის პერიოდში ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინიგზის მიერ, აგრეთვე რუსეთის მართვის პერიოდში სამხრეთ-მანჯურიის რკინიგზის მიერ აგებული ის დამხმარე სარკინიგზო შტიგები, რომლებიც განკუთვნილია ამ რკინიგზების პირდაპირი საჭიროებისათვის, აგრეთვე დამხმარე საწარმოები, რომლებიც უშუალოდ უწევდნენ მომსახურებას ამ რკინიგზებს და რომლებიც აგებულია ზემო აღნიშნულ პერიოდში. მთელი დანარჩენი სარკინიგზო შტიგები, დამხმარე საწარმოები და მიწები ჩინეთის მთავრობის სრულ საკუთრებაში იქნება. ზემოხსენებული რკინიგზების ერთობლივი ექსპლოატაცია განხორციელდება ერთიანი მართვით ჩინეთის სუვერენიტეტის ქვეშ, როგორც წმინდა კომერციული სატრანსპორტო საწარმო.

მუხლი 2.

შეთანხმების დამდები მხარეები უთანხმდებიან ერთმანეთს, რომ ზემოაღნიშნული გზის საერთო საკუთრების უფლება ეკუთვნის ორივე მხარეს თანაბრად და არ უნდა დაეთმოს მესამე მხარეს არც მთლიანად, არც ნაწილობრივ.

მუხლი 3.

შეთანხმების დამდები მხარეები აღნიშნული გზის ერთობლივი ექსპლოატაციის მიზნით შეთანხმდნენ დააარსონ ჩინეთის ჩანჩურის რკინიგზის ჩინეთ-საბჭოთა საზოგადოება. საზოგადოებაში არსდება გამგეობა ათი წევრისაგან, რომელთაგან ხუთს ნიშნავს ჩინეთის მთავრობა და ხუთს—საბჭოთა მთავრობა. გამგეობა ქალაქ ჩანჩურში იქნება.

მუხლი 4.

ჩინეთის მთავრობა გამგეობის წევრთა—ჩინეთის მოქალაქეთა რიცხვიდან ნიშნავს გამგეობის თავმჯდომარეს და გამგეობის თავმჯდომარის თანაშემწეს. საბჭოთა მთავრობა გამგეობის წევრ—საბჭოთა მოქალაქეების რიცხვიდან ნიშნავს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს და გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწეს. გამგეობაში საკითხების გადაწყვეტისას გამგეობის თავმჯდომარის ხმა ორ ხმად ითვლება. გამგეობის კანონიერ ქვორუმს შეადგენს შვიდი კაცი.

ყველა დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც გამგეობა ვერ შეთანხმდება, განსახილველად უნდა გადაეცეთ ხელშეკრულების დამდები მხარეების მთავრობებს სამართლიანი და მეგობრული გადაწყვეტისათვის.

მუხლი 5.

საზოგადოებაში არსდება სარეგიზო კომიტეტი, რომელშიც შედა ექვსი წევრი, რომელთაგან სამს ნიშნავს ჩინეთის მთავრობა და სამს—საბჭოთა მთავრობა. სარეგიზო კომიტეტის თავმჯდომარე აირჩევა წევრებს—საბჭოთა მოქალაქეების რიცხვიდან, თავმჯდომარის მოადგილე—წევრების ჩინეთის მოქალაქეების რიცხვიდან. სარეგიზო კომიტეტში საკითხთა გადაწყვეტისას თავმჯდომარის ხმა თვითეული ორ ხმად. კომიტეტის კანონიერ ქვორუმს შეადგენს ხუთი კაცი.

მუხლი 6.

მიმდინარე საქმეების საწარმოებლად გამგეობა ნიშნავს ჩინეთის ჩანჩურის რკინიგზის მმართველს სსრ კავშირის მოქალაქეთა რიცხვიდან და მმართველის მოადგილეს—ჩინეთის რესპუბლიკის მოქალაქეთა რიცხვიდან.

მუხლი 7.

სარეგიზო კომიტეტი ნიშნავს მთავარ კონტროლიორს და მის მოადგილეს. მთავარი კონტროლიორი ინიშნება ჩინეთის მოქალაქეთა რიცხვიდან, ხოლო მისი მოადგილე—საბჭოთა მოქალაქეთა რიცხვიდან.

მუხლი 8.

გზის სამსახურთა და განყოფილებათა უფროსიებს და უფროსთა მოადგილეებს, აგრეთვე დიდი საადგურების უფროსიებს ნიშნავს გამგეობა. გზის მმართველს უფლება აქვს წარადგინოს აღნიშნული პოსტების კანდიდატები. გამგეობის ცალკე წევრებს აგრეთვე შეუძლიათ წარადგინონ ეს კანდიდატები გზის მმართველთან შეთანხმებით.

სსრ კავშირის უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმის
რწმენებით
ვ. მოლოტოვი

შეთანხმება

პორტ-არტურის შესახებ

შეთანხმების დამდები ორივე მხარე, მეგობრობისა და კავშირის სულისა ბაზაზე საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ხელშეკრულების შესაბამისად და ამ ხელშეკრულების დამატების სახით, შეთანხმდა შემდეგზე:

I. ჩინეთისა და სსრ კავშირის უშიშროების განმტკიცებისა და იაპონიის მხრივ განმეორებითი აგრესიის თავიდან აცილების მიზნით, ჩინეთის რესპუბლიკის მთავრობა თანახმაა, რომ შეთანხმების დამდებმა ორივე მხარემ ერთობლივად გამოიყენოს პორტ-არტური, როგორც სამხედრო-საზღვაო ბაზა.

II. წინა პუნქტში აღნიშნული სამხედრო-საზღვაო ბაზის რაიონის ზუტტი საზღვრები დადგენილია ამასთან დართული აღწერილობითა და რუკით (იხ. დანართი).

III. შეთანხმების დამდები მხარეები შეთანხმდნენ გადააქციონ პორტ-არტური წმინდა სამხედრო-საზღვაო ბაზად, რომელს გამოიყენებაე შესაძლებელი იქნება მხოლოდ ჩინეთისა და სსრ კავშირის ხომალდებისა და საჰაერო გემებისათვის.

არსდება ჩინეთ-საბჭოთა კავშირის სამხედრო კომისია ზემოაღნიშნული სამხედრო-საზღვაო ბაზის ერთობლივი გამოყენების საკითხებზე; კომისიაში შედა ნებადართული ორი და საბჭოთა კავშირის სამი წარმომადგენელი. კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს საბჭოთა მხარე, ხოლო ვიცე-თავმჯდომარეს — ჩინეთის მხარე.

IV. ზემოაღნიშნული სამხედრო-საზღვაო ბაზის დაცვას ჩინეთის მთავრობა ანდობს სსრ კავშირის მთავრობას. სსრ კავშირის მთავრობა სამხედრო-საზღვაო ბაზის დაცვის მიზნით ჰქმნის იქ საჭირო ნაგებობებს, ამასთან ბარაკებს გაიოვებს სსრ კავშირის მთავრობა.

V. სამოქალაქო აღმინისტრაცია აღნიშნულ რაიონში ეკუთვნის ჩინეთს. ამასთან შესაბამის ხელშეკრულო პოსტებზე დანიშვნისას ჩინეთის მთავრობა ითვალისწინებს სსრ კავშირის ინტერესებს ამ რაიონში. სამოქალაქო აღმინისტრაციას ქალაქ პორტ-არტურში ნიშნავს და გადაადგენს ჩინეთის მთავრობა საბჭოთა სამხედრო სარდლობასთან შეთანხმებით.

VI. სსრ კავშირის მთავრობას უფლება აქვს იყოლიოს II პუნქტში აღნიშნულ რაიონში თავისი სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ძალები და განსაზღვროს მათი დისლოკაცია.

VII. სამხედრო მთავრობას ამავე დროს ეკისრება დაიცვას ამ რაიონში საზღვაო ნაოსნობის უზრუნველსაყოფად საჭირო შუქურები, სიგნალიზაცია და სხვა მოწყობილობა.

VIII. ამ შეთანხმების ვადის გასვლის შემდეგ სსრ კავშირის მიერ ამ რაიონში შექმნილი მთელი მოწყობილობა და სახოგადოებრივი ქონება უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს საერთაშორისო ჩინეთის მთავრობას.

IX. ეს შეთანხმება ვადად წესდება 30 წელი. შეთანხმება ძალაში შედის მისი რატიფიკაციის დღიდან.

ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად რწმენებულებმა ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას და მას თავიანთი ბეჭდები დაუსვეს.

შედგენილია მოსკოვს, 1945 წლის 14 აგვისტოს, რაც შეესაბამება ჩინეთის რესპუბლიკის 34 წლის 14 აგვისტოს დღეს, ორ ცალად, თვითეული რუსულსა და ჩინურ ენაზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

ჩინეთის რესპუბლიკის
ნაციონალური მთავრობის
პრეზიდენტის რწმენებით
ვან ში-ძე

სსრ კავშირის უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმის
რწმენებით
ვ. მოლოტოვი

შეთანხმება

ნავსადგურ დალნის შესახებ

ამით, იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის დადებული ხელშეკრულება მეგობრობისა და კავშირის შესახებ, აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირმა გარანტირებულად სამ აღმოსავლთა პროვინციაზე, როგორც ჩინეთის გაუყრელ ნაწილზე, ჩინეთის სუვერენიტეტის პატივისცემა, დალნაში, როგორც საქონლის შეზღვისა და გაზიღვის ნავსადგურში, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ინტერესების უზრუნველსაყოფად, ჩინეთის რესპუბლიკა თანახმაა:

I. გამოცხადდეს დალნი თავისუფალ, ყველა ქვეყნის ვაჭრობისა და ნაოსნობისათვის ღია ნავსადგურად.

II. ჩინეთის მთავრობა თანახმაა აღნიშნულ თავისუფალ ნავსადგურში გამოსყოს სსრ კავშირისათვის ოჯარით გადასაცემად ნავსაყუდლები და სასაწყობო სადგომები ცალკე შეთანხმების საფუძველზე.

III. ადმინისტრაცია დალნაში ჩინეთისა იქნება.

ნავსადგურის უფროსს საბჭოთა მოქალაქეების რიცხვიდან ნიშნავს ჩინეთის ჩანჩურის რკინიგზის მმართველი ქალაქ დალნის მერთან შეთანხმებით. ნავსადგურის უფროსის თანაშემწე ზემოაღნიშნული წესით ინიშნება ჩინელ მოქალაქეთაგან.

IV. შვიდობიან დროს დალნი არ შედის სამხედრო-საზღვაო ბაზის შესახებ იმ დებულებათა მოქმედების სფეროში, რომლებსაც განსაზღვრავს 1945 წლის 14 აგვისტოს შეთანხმება პორტ-არტურის შესახებ, და ამ ზონაში დაწესებულ სამხედრო რეჟიმს დაექვემდებარება მხოლოდ იაპონისთან ომის შემთხვევაში.

V. საზღვარგარეთიდან ამ თავისუფალ ნავსადგურში შემოსული და ჩინეთის ჩანჩურის რკინიგზით უშუალოდ სსრ კავშირის ტერიტორიაზე მიმავალი საქონელი და ხსენებული გზით სსრ კავშირიდან თავისუფალი ნავსადგურის მეშვეობით საექსპორტოდ მიმავალი საქონელი ან სსრ კავშირიდან ნავსაყიდველ ნავსადგურ გამართულ ნაოსნობისათვის მიმავალი მასალები და მოწყობილობა თავისუფლდება საბაჟო დაბეგვრისაგან. აღნიშნული საქონელი ტრანსპორტირებულ უნდა იქნას დაბეჭდილი ვაგონებით.

თავისუფალი ნავსადგურით ჩინეთში მიმავალი საქონელი იბეგრება ჩინეთის საიმპორტო ბაჟებით. ჩინეთის სხვა ნაწილებიდან თავისუფალ ნავსადგურში გატანილი საქონელი იბეგრება საექსპორტო ბაჟებით იმ პერიოდის განმავლობაში, სანამ ასეთი ბაჟების გადახდევინება ჩინეთში გრძელდება.

VI. ამ შეთანხმების ვადად წესდება 30 წელი.

VII. ეს შეთანხმება ძალაში შედის მისი რატიფიკაციის დღიდან.

რის დასადასტურებლადაც რწმენებულებმა ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას და მას თავიანთი ბეჭდები დაუსვეს.

შედგენილია მოსკოვს, 1945 წლის 14 აგვისტოს, რაც შეესაბამება ჩინეთის რესპუბლიკის 34 წლის 14 აგვისტოს დღეს, ორ ცალად, თვითეული რუსულსა და ჩინურ ენაზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

ჩინეთის რესპუბლიკის
ნაციონალური მთავრობის
პრეზიდენტის რწმენებით
ვან ში-ძე

სსრ კავშირის უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმის
რწმენებით
ვ. მოლოტოვი

შეთანხმება

იაპონიის წინააღმდეგ ახლანდელ ერთობლივ ომთან დაკავშირებით ჩინეთის სამი აღმოსავლეთი პროვინციის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ საბჭოთა მთავარსარდლისა და ჩინეთის ადმინისტრაციის ურთიერთობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და ჩინეთის რესპუბლიკის ნაციონალური მთავრობის პრეზიდენტი, რომელთაც სურთ, რომ ურთიერთობა საბჭოთა მთავარსარდალსა და ჩინეთის ადმინისტრაციას შორის იაპონის წინააღმდეგ სსრ კავშირისა და ჩინეთის ახლანდელ ერთობლივ ომთან დაკავშირებით, ჩინეთის სამი აღმოსავლეთი პროვინციის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების შესვლის შემდეგ შეესაბამებოდეს მეგობრობის სულისკვეთებას და სამოკავშირეო ურთიერთობას, რაც ორივე ქვეყანას შორის არსებობს, შეთანხმდნენ ქვემოთმოყვანილნზე:

1. მას შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარები სამარი მოქმედების შედეგად ჩინეთის სამი აღმოსავლეთი პროვინციის ტერიტორიაზე შეესვლნ, უმაღლესი ხელისუფლება და პასუხისმგებლობა სამარი მოქმედების ზონაში ყველა იმ ადგილსაში, რომლებიც ომის წარმოებას შეეხებიან, ოპერაციებისათვის საჭირო პერიოდის განმავლობაში, დაეკისრება საბჭოთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს.

2. დაბრუნებული ტერიტორიისათვის დანიშნულ იქნებიან ჩინეთის რესპუბლიკის ნაციონალური მთავრობის წარმომადგენელი და შტატი, რომელნიც:

ა) ჩინეთის კანონების შესაბამისად დაარსებენ და უხელმძღვანელებენ ადმინისტრაციას მოწინააღმდეგისაგან გაწმენდილ ტერიტორიაზე;

ბ) დახმარებას გაუწევენ დაბრუნებულ ტერიტორიებზე ჩინეთის, როგორც რეგულარულ, ისე არარეგულარულ შეიარაღებულ ძალებსა და საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს შორის ურთიერთმემკვიდრის დამყარების საქმეში;

ი) უზრუნველყოფენ ბრძოლურ თანამშრომლობას ჩინეთის ადმინისტრაციასა და საბჭოთა მთავარსარდალს შორის და, კერძოდ, მისცემენ ადგილობრივ ოპერაციებს მითითებებს ამ მხრივ და იხელმძღვანელებენ საბჭოთა მთავარსარდლის მოთხოვნებებითა და სურვილებით.

3. საბჭოთა მთავარსარდალსა და ჩინეთის რესპუბლიკის ნაციონალური მთავრობის წარმომადგენელს შორის კონტაქტის უზრუნველყოფისათვის საბჭოთა მთავარსარდლის შტაბთან დანიშნულ იქნება ჩინეთის სამხედრო მისია.

4. იმ ზონაში, რომლებიც საბჭოთა მთავარსარდლის უმაღლესი ხელისუფლების ქვეშ იქნებიან, ჩინეთის რესპუბლიკის ნაციონალური მთავრობის დაბრუნებული ტერიტორიის ადმინისტრაცია საბჭოთა მთავარსარდალთან კონტაქტს დაამყარებს ჩინეთის რესპუბლიკის ნაციონალური მთავრობის წარმომადგენლის მეშვეობით.

5. როგორც კი დაბრუნებული ტერიტორიის რომელიმე ნაწილი აღარ იქნება უშუალო სამარი მოქმედების ზონა, ჩინეთის რესპუბლიკის ნაციონალური მთავრობა თავის თავზე მიიღებს ხელისუფლებას სამოქალაქო საქმეთა ხაზით და ყოველგვარ დახმარებასა და მხარდაჭერას აღმოუჩენს საბჭოთა მთავარსარდალს თავისი სამოქალაქო და სამხედრო ორგანოების მეშვეობით.

6. ყველა პირნი, რომლებიც საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს ეკუთვნიან ჩინეთის ტერიტორიაზე, იქნებიან საბჭოთა მთავარსარდლის იურისდიქციაში. ჩინეთის მოქალაქეთის ყველა პირნი, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო, იქნებიან ჩინეთის იურისდიქციაში. ეს იურისდიქცია გავრცელდება აგრეთვე ჩინეთის ტერიტორიაზე მყოფ სამოქალაქო მოსახლეობაზე იმ შემთხვევაში კი, როცა ჩადენილი იქნება დანაშაულობა და შეიტანა საბჭოთა შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ, გარდა იმ დანაშაულობათა და შეცდომათა, რომლებიც ჩადენილ იქნება სამარი ოპერაციების ზონაში, რომლებიც ექვემდებარებიან საბჭოთა მთავარსარდლის იურისდიქციას. სადაო შემთხვევაში საკითხი გადასწყდება საბჭოთა მთავარსარდალსა და ჩინეთის რესპუბლიკის ნაციონალური მთავრობის წარმომადგენელს შორის ურთიერთშეთანხმებით.

7. იმ ფინანსიურ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებული არიან ჩინეთის სამი აღმოსავლეთი პროვინციის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების შესვლასთან, დაიდება ცალკე შეთანხმება.

8. ეს შეთანხმება ძალაში შედის დაფიქსირებლივ სსრ კავშირსა და ჩინეთს შორის მიგზავნისა და კავშირის შესახებ ამ თარიღით ხელმოწერილი ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ.

შედგენილია მოსკოვს 1945 წლის 14 აგვისტოს, რაც შეესაბამება ჩინეთის რესპუბლიკის 34 წლის 14 აგვისტოს დღეს, ორ ცალად, თვითეული რუსულ და ჩინურ ენაზე, ამასთანავე ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმის რწმენებით
ვ. მოლოტოვი

ჩინეთის რესპუბლიკის
ნაციონალური მთავრობის
პრეზიდენტის რწმენებით
ვან ში-ძე

ჩინეთის ცენტრალური მთავრობისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. მანჯურიაზე ჩინეთის სუვერენიტეტისა და სინძიანში მომხდარი ამბების შესახებ

მოსკოვი, 1945 წლის 14 აგვისტო

პატიცეევსო ბ-ნო მინისტრო,
ჩინეთისა და სსრ კავშირის შორის მეგობრობისა და კავშირის ხელშეკრულების ამ თარიღით ხელმოწერასთან დაკავშირებით პატივი მაქვს ფიქსირებულ ვყო, რომ ქვემოთაღნიშნული დებულებანი ხელშეკრულების დამდებ ორივე მხარეს შემდეგნაირად ეძლევა:

1) ზეთომთმოხსენებული ხელშეკრულების სულისკვეთების შესაბამისად და მისი საერთო იდეებისა და ძირნების განსაზორციელებლად საბჭოთა მთავრობა ჩინეთის აღმოსავლეთ მოჩალურ მხარდაჭერას და დახმარებას სამხედრო საჭურველითა და სხვა მატერიალური რესურსებით, ამასთან ეს მხარდაჭერა და დახმარება სავსებით აღმოჩინენა ნაციონალურ მთავრობას, როგორც ჩინეთის ცენტრალურ მთავრობას.

2) ნაკსაგურების დალნისა და პორტ-არტურის, აგრეთვე ჩინეთის ჩანჩურნის რკინიგზის ერთობლივი ექსპლოატაციის შესახებ მოლაპარაკების მსვლელობაში, საბჭოთა მთავრობა სამ აღმოსავლეთ პროვინციის განიხილავდა, როგორც ჩინეთის ნაწილს, და კვლავ დაადასტურა სამ აღმოსავლეთ პროვინციაზე ჩინეთის სრული სუვერენიტეტის პატივისცემა და მათი ტერიტორიული და ადმინისტრატიული მთლიანობის აღიარება.

3) რაც შეეხება სინძიანში მომხდარ უკანასკნელ ამბებს, საბჭოთა მთავრობა ადასტურებს, რომ მას, როგორც ნათქვამია მეგობრობისა და კავშირის ხელშეკრულების მე-5 მუხლში, განზრახვა არა აქვს ჩაერიოს ჩინეთის შინაურ საქმეებში.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ, ბ-ნო მინისტრო, დაადასტურებთ თანხმობას ზემოაღნიშნული პუნქტების ასეთი გაგების შესახებ, ეს ნიშნავ და თქვენი პასუხი გახდებიან ზემოთმოხსენებული მეგობრობისა და კავშირის ხელშეკრულების ნაწილი.

მიიღეთ, ბ-ნო მინისტრო, ჩემი თქვენდამი უაღრესად დიდი პატივისცემა.

ვ. მოლოტოვი

ბ-ნ ვან ში-ძეს, ჩინეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს.
მოსკოვი.

• • •

სპასუხო ნოტაში ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა ვან ში-ძემ განაცხადა თავისი სრული თანხმობა ზემოთადნიშნული პუნქტების ასეთი გაგებაზე.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ

თარგმანი ჩინურიდან

მოსკოვი, 1945 წლის 14 აგვისტო

ბატონო სახალხო კომისარო,

ვინაიადან გარე მონღოლეთის ხალხს არაერთგზის გამოუცხადავს მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი, ჩინეთის თავისრნა აცნაღდეს, რომ იაპონიის დამარცხების შემდეგ, თუ გარე მონღოლეთის ხალხის პლებისციტი დაადასტურებს ამ მისწრაფებას, ჩინეთის თავისრნა სცნობს გარე მონღოლეთის დამოუკიდებლობას მის არსებულ საზღვრებში.

ზემოთქმულთან ერთად, ჩინეთის მთავრობა ძალა ექნება მეგობრობისა და კავშირის ამ ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ, რომელიც ხელმოწერილია ჩინეთის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მიერ 1945 წლის 14 აგვისტოს".

ბეთხოვი, ბ-ნო სახალხო კომისარო, მიიღოთ ჩემი უაღრესად დიდი პატივისცემა.

ვან ში-ძე

ბ-ნ ვ. მ. მოლოტოვს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს.
მოსკოვი.

• • •

მოსკოვი, 1945 წლის 14 აგვისტო

ბატონო მინისტრო,

ამით ვადასტურებ, რომ მიეღე თქვენი ნოტა, რომლითაც იტყობინებით, რომ:

„ვინაიდან გარე მონღოლეთის ხალხს არაერთგზის გამოუცხადავს მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი, ჩინეთის თავისრნა აცნაღდეს, რომ იაპონიის დამარცხების შემდეგ, თუ გარე მონღოლეთის ხალხის პლებისციტი დაადასტურებს ამ მისწრაფებას, ჩინეთის თავისრნა სცნობს გარე მონღოლეთის დამოუკიდებლობას მის არსებულ საზღვრებში.

ზემოთქმულთან ერთად, ჩინეთის მთავრობა ძალა ექნება მეგობრობისა და კავშირის ამ ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ, რომელიც ხელმოწერილია ჩინეთის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მიერ 1945 წლის 14 აგვისტოს".

საბჭოთა მთავრობა კმაყოფილებით იღებს ცნობად ჩინეთის რესპუბლიკის თავრობის ზემოთადნიშნულ ნოტას და თავის მხრივ აცხადებს, რომ იგი პატივს სცემს მონღოლეთის (გარე მონღოლეთის) სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას.

ბეთხოვი, ბ-ნო მინისტრო, მიიღოთ ჩემი უაღრესად დიდი პატივისცემა.

ვ. მოლოტოვი

ბ-ნ ვან ში-ძეს,
ჩინეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს.
მოსკოვი.

მოსკოვის მშრომელები მიესალმებიან ხელშეკრულებას სსრ კავშირისა და ჩინეთის მეგობრობის შესახებ

მოსკოვში ხელმოწერილმა ხელშეკრულებამ სსრ კავშირისა და ჩინეთის რესპუბლიკის მეგობრობისა და მოკავშირეობის შესახებ ეს შეთანხმებებმა დედაქალაქის მშრომელებში უეფიდესი კმაყოფილება გამოიწვიეს. გუშინწინა წარმოებები გაიმართა სიფრანგეთ ბრიტანეთ. მუშები და მოსამსახურეები ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა მთავრობის ბრძნულ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრული ერთობლივობის განვითარებისა და საყოველთაო მშვიდობიანობის საქმის განმტკიცებისაკენ.

— ზორაკენ აღმოსავლეთში ჩვენი ბოლტიკის მიზანი, — ამბობს სტალინის სახელოსნის სოციალისტური ქარხნის მე-2 კონვეიერის უფროსი ოსტატი ამბ. ფეშინეკი, — სრულიად ნათელია ჩვენ გვსურს მეგობრობად ეიცოცხლეთ დიდ ჩინელ ხალხთან, დაეეხმარით მას საბეჭიერო და კეთილეფერად განვითარებაში და მასთან ერთად ეხილეთ ეადეეჭრი თავდეფენა იმას, რომ ადამ გამმარიეს იაპონელ აგრესიონ. ჩინელი ხალხი მეგობარ ფუეედა ჩვენს ქვეკანაში დიდ თანგრძნობასა და სიმპატიას, ბამოეეფდებლობასა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში ეეი გრძნობა ჩვენს ბატარეკერს. ზოგიერნა არმიამ იაპონელი დაპატიჟინა ბან ბაათაკენ ერთად მან დამბარება გიეწია ჩინელ ხალხს ბაეეზრა, მოკავშირეთ არმიებთან ერთად მან დამბარება გიეწია ჩინელ ხალხს ბაეეზრა იაპონელთა ბატონობა. ჩინეთთან ჩვენი კეთილი სისტემა არის გამმეტებელი. ეს არის კაეშირი ბრალეი წესისათვის!

სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარების და ომის შედეგად თანამეგობრობის ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა

ბელგრადი, 26 აგვისტო. (საგეგნი). გუშინ ფეფოლოვის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მოიგი სსრ კავშირსა და ფეფოლოვის შორის მეგობრობის, ურთიერთ დახმარების და ომის შემდეგინი თანამეშრომლობის ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა.

სიგელების გაცვლას ესწრებოდნენ ფეფოლოვის მხრიდან საგარეო საქმეთა მინისტრი ბარი ივანე შუბასენი, მინისტრის მოადგილეები ველუბანი და გიორგიევიჩი, საგარეო საქმეთა სახელოსნის განყოფილებათა ხელმძღვანელები და სამინისტროს სხვა პასუხისმგებელი თანამშრომლები. საბჭოთა კავშირის მხრივ ესწრებოდნენ სსრ კავშირის ელჩი ფეფოლოვიაში ა. ვ. სადჩიკოვი, საბჭოთა სამხედრო მისიის უფროსი გენერალ-მაიორი ა. ფ. ბოგოლიუბოვი და სხვანი ხელმძღვანელები.

ელჩმა შუბასენმა და ა. ვ. სადჩიკოვმა სიტყვები წარმოთქვეს.

— ახლა ჩინელი ხალხის ფიდი ბელადის სუნ იატ-სენის ოცნება, — სო�ეა ქარხანა „ხუთის ი მოლტოს" მუფოლოდგ ამბ. ეროკანეკა. — სუნ ატ-სენი მუდამ ამბობდა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მეგობრობისათვის. ახლა ეს მეგობრობა ეიღეე ეეფრო განეთარეა. ეეი ეპირეეე ალმოსავლეთში და მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობის საფიდელი ფიდა. საყოველნი იქნება ფეი იქნება მტკიეე პარიეი იაპონეეი ფაშისტოსტების წინააღმდეგ. ამაშია ჩვენი სახელმწიფოთა და ჩინეთის რესპუბლიკის კავშირის ცხოველმყოფელი ძალა.

მოტიეკოეოს ქარხნის საამბარეუნეტენ საამბრის ეროეეზეა მონაწილენი ამბ. ბელოვა განაცხადა:

— საბჭოთა კავშირი და ჩინეთი მზარდმბარ ეეწოფნენ განმათავისუფლებელ ომს ფაშისტიზმის წინააღმდეგ. ეკონომიის ფაშიზმის გაანადგურების შემდეგ ზოგადმა ბაბოვა იაპონელი იმპერიალისტები. ჩინელმა ხალხმა თავისი ეეეფილი ზეიტანა ბატონობა. ჩინეთი ეეეფილი ეეეფილ ეეეფილ ეეეფილ

ჩან კაი-შის გამოსვლა

ჩუნკინი, 25 აგვისტო. (საგზენი). გენერალისიმუსმა ჩან კაი-შიმ 24 აგვისტოს სიტყვა წარმოთქვა ნაციონალური თავდაცვის უმაღლესი საბჭოს და ეროვნულის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე.

— ომიანობამ,—სთქვა ჩან კაი-შიმ,—დამარცხება განიცადა და კატეგორიული ახლანს. აგრესიის ძალები მოლაპარაკებენ ერთან გაერთიანებული ერების კონკურენციაზე ძალიან.

ატლანტიკის ამ დიადი შემოქმედების მოეწონა ნაციონალურმა მოაზროვნემ ნოლიდან უნდა ეწესებინა ნინეფ ხალხს და მიეღო მსოფლიოს ხალხებს, თუ როგორია ბანი ძირითადი მიზნები ნაციონალური დამოუკიდებლობის განსორიგიულის პოლიტიკისა და ნაციონალური რეკონსტრუქციის დამოუკიდებლობის.

ჩვენი ნაციონალური რეკონსტრუქციის მიზანი ორგვარია. სხვა ქვეყნებთან ჩვენს ურთიერთობაში ჩვენ ეფუძნებიდით ნაციონალური დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ. ნაციონ მიგნიე ჩვენ ვეძებთ თანამეურნეობის ყველა რასობრივი ჯგუფისათვის. 50 წლის განმავლობაში ჩვენ ეგზიერთდით ინპოლის შეკრა ზრდად ძალებებს, ეს ბრძოლა მოთმენოდეთ ჩვენ ქვეყნის ყველა რასობრივი ჯგუფის ძალებს კონსოლიდაციაა. ჩვენ ეფიცადით, რომ უნდა გავერთანიეგეთ ყველა, ოთხ ნინაფლიდგეთ გაგეკეთა აგრესორისადეთ, თუ ჯვერეს შეეთანხმეთ ჩვენი ნაციონალური დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ახლა ინპოლის ამერიკიდან დამარცხებულია, ფერთიხა და პესეკიანოს კონფედერაციაა ნინეფ დაფარეფენა, ეზრეეეეეფეთეთ ჩვენი ტერიტორიული და ადმინისტრატიული სუვერენიტეტის ადგილა ჩრდილოალმოკავეთ პროფინტეგენში, კორეა ახლა მოპავალნა განთავისუფლებულ იქნება და თავისუფალი ქვეყანა გახდება.

საერთაშორისო ურთიერთობაში ნაციონალიზმის პრინციპი განხორციელებულია, ახლა ეს პრინციპი უნდა გაგავრცელეთ ჩვენს ქვეყანაში. ეს ჩვენი პოლიტიკა ისეთია—ეფექტიანობაზე ეკუთვნის ჩვენს ქვეყანაში უნდა მიიღოს თვითმმართველობის ან დამოუკიდებლობის შესაძლებლობა. განსაკუთრებით არსებითია გარე მოძღოლეთისა და ტიბეტის პრობლემები.

1924 წელს გარე მონღოლეთმა მიმაკავშირა გამოეფიცა ბოლშევიკის დოქტორი სუნ ატა-ენი ეუკე შაპინ მონღოლეთის ეკონომიკა, როგორც ბეგობრულ ქვეყანამ. მონღოლეთი, ისე როგორც ტიბეტი, თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა, ჩვენი ქვეყანისაგან გაწყვეტილებით. ჩვენ განხილაა არა ბეგენია დაფეგზარი მონღოლეთი, როგორც ეს ხერეა ბეკინის ნაციონალური ბისწრაფებანი ჩვენს ბრეგზენი ნაციონალური ბისწრაფებანი ჩვენს ბრეგზენ ბრეგზენ ბრეგზენ